

ხელშეკრულება № 29.  
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

17 ოქტომბერი 2016 წელი

ქ. გორი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური“ (შემდგომში „შემსყიდველი“), მისი დირექტორის ირაკლი ტლაშაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ნიკი და კომპანი“ ს/კ 417886906 (შემდგომში როგორც – მიმწოდებელი) მისი დირექტორის ნათელა მარტინენკოს სახით ვხელმძღვანელობთ, რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვლებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი**

1.1 ხელშეკრულების საგანია: ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების” გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ნატარების წესის” საფუძველზე გამარტივებული შესყიდვით-მონეტარული ზღვრების დაცვით, (CPV 79540000 კოდით) სათარჯიმნო მომსახურების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

**2. შესყიდვის ობიექტი**

**2. შესყიდვის ობიექტი**

2.1. შესყიდვის ობიექტია: სათარჯიმნო მომსახურება

**3. ხელშეკრულების ხაერთო ღირებულება**

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნული ვალუტით (ლარი).

3.2 შესყიდვის ობიექტის(მომსახურების) ღირებულება შეადგენს 14.00( თოთხმეტი) ლარს და 00 თეთრს

**4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია**

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

**5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები**

5.1. შესყიდვის ობიექტის შემსყიდველისთვის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან 2016 წლის 18 ოქტომბრამდე

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (მიღება-ჩაბარება ან/და სასაქონლო ზედნადები ან/და საგადასახადო ანგარიშვაქტურა).

**6. ანგარიშსწორების ფორმა და გრაფიკი (ვადები)**

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნული ვალუტით (ლარი).

6.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.2. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10(ათი) სამუშაო დღის ვადაში.

**7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;

მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელისმოწერის დღიდან 2016 წლის 18 ოქტომბრამდე
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

#### 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშუალოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

#### 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე

#### 10. ხელშეკრულების პირობების გადახინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

#### 11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწვეს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.3. მხარე რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

#### 12. დაგები და მათი გადაწყვეტილება

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ ქვორის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური“ უფლებამოსილი წარმომადგენელი.

13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილ ნებისმიერ ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებულ ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.



15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები



„შემსყიდველი“:

„მიმწოდებელი“

ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური“  
მის: გორი, სტალინისგამზირი #16  
ს/კ 417884757  
ტელ: 599445868

შპს „ნიკი და კომპანია“  
ს/კ 417886906  
მის: ქ. გორი  
ბანკი: სს „თიბისი ბანკი“  
ბ/კოდი TBCBGE22  
ანგ#GE69TB7452336080100002

დირექტორი:  
  


  
ნ. მარტინენკო  


ინფორმაცია ინტერესთა კომფლიქტის შესახებ

ქ. გორი

17  
-----ოქტომბერი 2016 წელი

“სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური“-ს მიერ სათარჯიმნო მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით შპს „ნიკი და კომპანია“-სთან ს/კ417886906 არ ვიმყოფებით ინტერესთა კომფლიქტში.

ზემო აღნიშნულ სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილე პირები:

ა(ა)იპ “ ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის“ დირექტორი:

ირაკლი ტლაშაძე



ა(ა)იპ “ ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის“ დირექტორის მოადგილე:

გელა არუნაშვილი

გელა არუნაშვილი